LTD "Audit Service"
IN. 416302799
Address. Rustavi, Megobrobis II, 3/13
E-mail. auditrustavi@gmail.com
Tel. (995) 577977766

Audit Service

შ.პ.ს. "აუდიტ სერვისი"
სნ: 416302799
მის: ქ.რუსთავი, მეგობრობის შეს. 3/13
E-mail. auditrustavi@gmail.com
Tel. (995) 577977766

შპს "სტარვიზია"-ს (ს/კ 245584611)

2019 წლის აუდიტორული შეფასების ანგარიში

თბილისი

2020

სარჩევი

1. ორგანიზაციის ბალანსის აუდიტი 3
2. მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი 5
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი 7
4. საწარმოს კაპიტალში ცვლილებების აუდიტი 10

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

წარმოგიდგენთ შპს სტარვიზიას (შემდგომში „კომპანია“) აუდიტორული შემოწმების ანგარიშს 2019 საანგარიშგებო წლისათვის,განსაზღვრული გეგმის მიხედვით (დანართი №1 - აუდიტორული შემოწმების გეგმა).

1. ორგანიზაციის ბალანსის აუდიტი

შესრულებული სამუშაო

კომპანიის ბალანსის აუდიტი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-4 განყოფილება „ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას კომპანიის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსის) შედგენის დროს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასასახი მუხლების ჩამონათვალი განსაზღვრულია მსს ფასს-ის 4.2 პუნქტით „ინფორმაცია, რომელიც უნდა აისახოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში“.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ეყრდნობა საბუღალტრო პროგრამის მონაცემებს.

შპს "სტარვიზია"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2019 წლის 31 დეკემბრისმდგომარეობით
(ლარებში)

	2019	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანიაქტივები			
ძირითადისაშუალებები	62,211	74,222	84,102
გუდვილი			
სხვაარამატერიალურიაქტივები	23,495	25,051	26,881
ინვესტიციებიმეკავშირესაწარმოებში			
გასაყიდადარსებულიფინანსურიაქტივები			
	85,706	99,273	110,983
მიმდინარეაქტივები			
სასაქონლო-მატერიალურიფასეულობები	11,760	8,459	12,457
სავაჭრომოთხოვნები	166,240	1,045	124,761
სხვამიმდინარეაქტივები	19,879	21,501	21,277
ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტები	20,960	20,176	22,650
	218,839	51,182	181,145
სულაქტივები	304,545	150,455	292,128

საკუთარიკაპიტალიდავალდებულებები			
სათავოსაწარმოსმესაკუთრეებზემისაკუთვნებელისაკუთარიკაპიტალი			
სააქციოკაპიტალი	1,058,600	1,058,600	1,063,750
გაუნაწილებელიმოგება	8,500	8,500	8,500
საკუთარიკაპიტალისსხვაკომპონენტები	(1,227,065)	(1,087,586)	(855,411)
	(159,965)	**(20,486)**	216,839
არამაკონტროლებელიწილი			
სულსაკუთარიკაპიტალი	**(159,965)**	**(20,486)**	216,839
გრძელვადიანივალდებულებები			
გრძელვადიანისესხები			-
გადავადებულიგადასახადი			
გრძელვადიანიანარიცხები			
სულგრძელვადიანივალდებულებები	-	-	-
მოკლევადიანივალდებულებები			
სავაჭროდასხვავალდებულებები	459,531	169,580	48,980
მოკლევადიანისესხები			
გრძელვადიანისესხებისმიმდინარეწილი			
მიმდინარესაგადასახადოვალდებულებები	4,979	1,430	26,309
მოკლევადიანიანარიცხები			
სულმოკლევადიანივალდებულებები	464,510	171,009	75,289
სულვალდებულებები	464,510	171,009	75,289
სულსაკუთარიკაპიტალიდავალდებულებები	304,545	150,455	292,128

წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის (ბალანსის) მიხედვით, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ აქტივები 304 545ლარს შეადგენს, მათ შორის: მოკლევადიანი აქტივები 218 839 ლარი, აქედან: ფულადი სახსრები - 20960 ლარი, მოკლევადიანი მოთხოვნები - 186 119ლარი, სხვა მატერიალური მარაგები - 11 760 ლარი.

გრძელვადიანი აქტივები შეადგენს 85 706ლარს, ძირითადი აქტივები - 62 211ლარი, ხოლო არამატერიალური აქტივები - 23 495ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ ვალდებულებები და კაპიტალი 304 545 ლარს შეადგენს, მათ შორის: მოკლევადიანი ვალდებულებები 464 510 ლარი აქედან, მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები - 4 979 ლარი. სულ საკუთარი კაპიტალი-(159 965) ლარს შეადგენს, აქედან სააქციო კაპიტალი - 1058600 ლარი, გაუნაწილებელი მოგება 8500 ლარი,ხოლო საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები - 1227 065 ლარი.

დასკვნა

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც

დაადასტურებდენ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან. კერძოდ:

ფინანსური აქტივი და ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ვალდებულების მონაწილე. ფინანსური აქტივების ჩამოწერა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება სახელშეკრულებო უფლება ფინანსური სარგებლის მიღების შესახებ. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება როდესაც ვალდებულება იფარება, უქმდება ან მისი საციოცხლო ვადა სრულდება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება მათი ნომინალური ღირებულებით: კერძოდ, მიმდინარე (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები) აღიარებულია იმ თანხით, რა თანხაზეც მოხდა დებიტორთან შეთანხმება, ხოლო მიმდინარე ვალდებულებების (სავაჭრო და სხვა ვალდებულებები) აღიარდება იმ თანხით, რა თანხაზეც მოხდა შეთანხმება კრედიტორთან.

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსი) ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია კომპანიის სააღრიცხვო მონაცემებთან და შეიცავს ყველა იმ მუხლს, რაც დადგენილია მსს ფასს-ის 4.2 პუნქტით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომკომპანიის ფინანსური მდგომარეობისანგარიშგება მთლიანობაში არ შიცავს შეცდომითდა თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2. მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი

შესრულებული სამუშაო

კომპანიის მოგება-ზარალის უწყისის აუდიტი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-5 განყოფილება „სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება“, მსს ფასს მე-6 განყოფილება „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილბლი მოგების ანგარიშგება“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას კომპანიის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მოგება-ზარალის უწყისის (ფინანსური შდეგი) შედგენის დროს. მოგება-ზარალის ანგარისგებაში ასასახი მუხლების ჩამონათვალი განსაზღვრულია მსს ფასს-ის 5.5 პუნქტით და 6.5 პუნქტით „ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოსმოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში“.

მოგება-ზარალის ანაგრიშგების შესახებ ანგარიში - ფინანსური ანგარიშგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელიც ახასიათებს ორგანიზაციის საოპერაციო საქმიანობის ფინანსურ შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ანგარიშგება წლიურია. მასში აისახება საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგები, რომელიც გაიანგარიშება შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობით.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც ეყრდნობა საბუღალტრო პროგრამის მონაცემებს.

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	2019	2018
ამონაგები	357,060	486,770
რეალიზებულიპროდუქციისთვითღირებულება	(142,995)	(73,431)
საერთომოგება	214,065	413,339
სხვაშემოსავალი	194,820	5,944
კომერციულიდანახარჯები	(207,242)	(294,533)
ადმინისტრაციულიხარჯები	(290,322)	(276,498)
სხვახარჯები	(16,116)	(72,073)
ფინანსურიდანახარჯები	(34,682)	(6,531)
მეკავშირესაწარმოებისმოგების წილი1		-
მოგებადაბეგვრამდე	(139,477)	(230,353)
მოგებისგადასახადი		-
წლისმოგებაგანგრძობითისაქმიანობიდან	(139,477)	(230,353)
საანგარიშგებოწლისზარალიშეწყვეტილისაქმიანობიდან		
საანგარიშგებოწლისმოგება	(139,477)	(230,353)
სხვასრულიშემოსავალი:		
უცხოურიქვედანაყოფისანგარიშგებისწარსადგენვალუტაშიგად აანგარიშებისშედეგადწარმოქმნილისაკურსოსხვაობები(ბ)		
გასაყიდადარსებულიფინანსურიაქტივები (ბ)		
ფულადინაკადებისჰეჯირება(ბ)		
ქონებისგადაფასებიდანმიღებულიშემოსულობა		
აქტუარულიშემოსულობა (ზარალი)		
დადგენილგადასახდელებიანისაპენსიოპროგრამებიდან		
მეკავშირესაწარმოებისსხვასრულიშემოსავლისწილი (გ)		
სხვასრულიშემოსავლისკომპონენტებთანდაკავშირებულიმოგებისგადასახადი (დ)		
საანგარიშგებოწლისსხვასრულიშემოსავალი, გადასახადისგამოკლებით		-
სულსაანგარიშგებოწლისსხვასრულიშემოსავალი	-139,477	-230,353

შპს „სტარვიზია“-ს ფინანსური შედეგი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ზარალს -(139 477) ლარს.როგორც ანგარიშგებიდან ჩანს, ამონაგები შეადგენს 357 060 ლარს, სხვა შემოსავლები - 194 820 ლარი, , კომერციული დანახარჯები - (207 242), ადმინისტრაციული ხარჯები - (290 322), სხვა ხარჯები -(16 116), ფინანსური დანახარჯები - (34 682) ლარი.

დასკვნა

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდენ კომპანიის მოგება-ზარალის (ფინანსური შედეგი) ანგარიშგების შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან. კერძოდ:

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი მოგება-ზარალის ანგარიშგების (ფინანსური შედეგი) ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია კომპანიის სააღრიცხვო მონაცემებთან და შეიცავს ყველა იმ მუხლს, რაც დადგენილია მსს ფასს-ის 5.5 და 6.5 პუნქტებით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომკომპანიის ფინანსური მდგომარეობისანგარიშგება მთლიანობაში არ შიცავს შეცდომითდა თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი

შესრულებული სამუშაო

კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის აუდიტი გულისხმობს მცირე და საშუალო საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (მსს ფასს მე-7 განყოფილება „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) დადგენილი ნორმებისა და წესების დაცვის შემოწმებას კომპანიის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისის შედგენის დროს. მსს ფასს-ის 7.3 პუნქტი განსაზღვრავს ფულადი ნაკადების დაჯუფების წესს. კერძოდ, ფულადი ნაკადები დაჯგუფებული უნდა იყოს „საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის მიხედვით“. მსს ფასს-ის 7.4 პუნქტი განსაზღვრავს საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, 7.5 პუნქტი განსაზღვრავს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, ხოლო 7.6 პუნქტი - საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების შედგენას მსს ფასს ითვალისწინებს ორი მეთოდით: პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდით. კომპანიას უფლება აქვს თვითონ აირჩიოს მეთოდი, თუმცა ფასს უპირატესობას ანიჭებს ფულადი ნაკადების მოძრაობის წარდგენის პირდაპირ მეთოდს. „პირდაპირი მეთოდის თანახმად, საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული წმინდა ფულადი ნაკადების წარდგენა ხდება ინფორმაციის გამჟღავნებით მთლიანად მიღებული ან მთლიანად გაცემული ფულადი სახსრების ძირითადი კატეგორიების შესახებ“ (მსს ფასს, პუნქტი 7.9).

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება მომხმარებელს უჩვენებს:

- ფულადი სახსრების შემოდინების წყაროებს;
- მუხლებს, რომლებზეც მოხდა ფულადი სახსრების ხარჯვა საანგარიშგებო პერიოდში;
- ფულადი სახსრების წმინდა ცვლილებას საანგარიშგებო თარიღისათვის.

ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ ინფორმაცია სასარგებლოა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის, როგორც ანგარიშგების, აგრეთვე გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის. ინფორმაცია ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ საშუალებას აძლევს მის მომხმარებლებს დაადგინონ თუ როგორ გამოიმუშავა ორგანიზაციამ მისი საქმიანობის დაფინანსებისათვის საჭირო ფულადი სახსრები და როგორ მოხდა ამ სახსრების გამოყენება. მომხმარებლებს სჭირდებათ ფულადი სახსრების ნაკადების გამოყენების დროულობის და მათი საიმედოობის შეფასება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოგიდგენთ ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს 2019 წლის 31 დეკემბრისათვის, რომელიც ეყრდნობა საბუღალტრო პროგრამის მონაცემებს.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

საანგარიშოწლისთვის, რომელიცდასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	2019		2018	
ფულადინაკადებისაოპერაციოსაქმიანობიდან				
კლიენტებისაგანმიღებულიფულადისახსრები	493,211		526,620	
მომწოდებლებსადათანამშრომლებზეგაცემულიფულადისახსრები	(420,845)		(435,249)	
საოპერაციოსაქმიანობიდანშემოსულითანხები	72,366		91,371	
გადახდილიპროცენტები			(69)	
გადახდილიგადასახადი	(73,150)		(87,815)	
წმინდაფულადისახსრებისაოპერაციოსაქმიანობიდან		(784)		3,487
ფულადინაკადებისაინვესტიციოსაქმიანობიდან				
შვილობილისაწარმო X-ისშეძენამისიფულადისახსრებისგამოკლებით				
ძირითადისაშუალებებისშეძენა				
მანქანა-დანადგარებისგაყიდვიდანმიღებულითანხები				
მიღებულიპროცენტები				
მიღებულიდივიდენდები				
საინვესტიციოსაქმიანობისათვისგამოყენებულიწმინდაფულადისახსრები		-		-
ფულადინაკადებისაფინანსოსაქმიანობიდან				
კაპიტალისშევსება	-		20,000	
კაპიტალისგატანა	-		(25,150)	
შემოსულობანიგრძელვადიანისესხებიდან	-		20,000	
გადახდილისესხი	-		(20,000)	
გადახდილი დივიდენდები1(ა)				
საფინანსოსაქმიანობისათვისგამოყენებულიწმინდაფულადისახსრები		-		(5,150)
ფულადისახსრებისადამათიეკვივალენტებისწმინდაზრდა		(784)		(1,663)
ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტებისაანგარიშგებოპერიოდისდასაწყისისათვის		20,176		21,840
ფულადისახსრებიდამათიეკვივალენტებისაანგარიშგებოპერიოდისბოლოსათვის		20,960		20,176

2019წლის 31 დეკემბრისათვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო

პერიოდის დასაწყისისათვის შეადგენს - 21176 ლარი, წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან შეადგინა - (784) ლარი, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის შეადგენს- 20 960 ლარს, წმინდა ფულადი სახსრები შემცირებულია - 784 ლარით.

დასკვნა

შემოწმების დროს ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდენ კომპანიის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან. კერძოდ:

ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება შედგენილია პირდაპირი მეთოდით, ზემოაღნიშნული მონაცემები შესაბამისობაშია კომპანიის სააღრიცხვო მონაცემებთან და შეიცავს ყველა იმ მუხლს, რაც დადგენილია მსს ფასს-ის 7.9 პუნქტით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომკომპანიის ფინანსური მდგომარეობისანგარიშგება მთლიანობაში არ შიცავს შეცდომითდა თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. საწარმოს კაპიტალში ცვლილებების აუდიტი

შესრულებული სამუშაო

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საანგარიშგებოპერიოდისსაკუთარიკაპიტალისცვლილებებისანგარიშგება.საწარმოს კაპიტალში ცვლილებების აუდიტის მიზანია იმის დაგენა, შეესაბამება თუ არა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება მსს ფასს-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს (მსს ფასი მე-6 განყოფილება „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება და მოგებისა და ზარალის და გაუნაწილბლი მოგების ანგარიშგება“). საკუთარი კაპიტალი არის საწარმო საქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.საწარმოს საკუთარ კაპიტალში ცვლილებები მოცემულია ცხრილში, რომელიც ეყრდნობა დანართი 11-ის (რომელიც ანგარიშს თან ერთვის) მონაცემებს და შედარებულია კომპანიის ბუღალტრული პროგრამის მონაცემებთან:

შპს "სტარვიზია"
ანგარიშგებაკაპიტალშიცვლილებებისშესახებ
საანგარიშოწლისთვის, რომელიცდასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	საწესდებოკაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ	სულსაკუთარიკაპიტალი
ნაშთი 2018 წ 31 დეკემბრ.	**1,058,600**	**(1,079,086)**	**(20,486)**	(20,486)
საკუთარიკაპიტალისცვლილება 2019 წელს				
სააქციოკაპიტალისგამოშვება	-		-	
დივიდენდები		-	-	

სულმოცემულიწლისსრულიშემოსავალი	-	(139,479)	(139,479)	(139,479)
გადატანაგაუნაწილებელმოგებაში		-		
ნაშთი 2019 წ. 31 დეკემბრ.	**1,058,600**	**(1,218,565)**	**(159,965)**	**(159,965)**

საანგარიშგებო პერიოდში საწესდებო კაპიტალი ჯამურადშემცირდა - 139479 ლარით , კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდში მიიღო ზარალი 139 479 ლარის ოდენობით, რამაც გამოიწვია საკუთარი კაპიტალის შემცირება და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკუთარმა კაპიტალმა ჯამში შედაგინა- 159 965 ლარი.

დასკვნა

ჩვენს მიერ შემოწმდა კომპანიის საკუთარი კაპიტალის მოძრაობა და მისი აღრიცხვის შესაბამისობა მსს ფასს-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შემოწმების პროცესში ჩვენს მიერ არ ყოფილა გამოვლენილი არსებითი ფაქტები, რომლებიც დაადასტურებდენ კაპიტალის ცვლილებების აღრიცხვის შეუსაბამობას მსს ფასს-ის მოთხოვნებთან .

აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვიპოვეთ საფუძვლიანი რწმუნებულებები, რომკომპანიის ფინანსური მდგომარეობისანგარიშგება მთლიანობაში არ შიცავს შეცდომითდა თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, იგი არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

პართენ ყურუა (რეგ. № SARAS-A-185691)

შპს „აუდიტსერვისი"-ს სახელით (რეგ. № SARAS-F-715412)